დამტკიცებულია ბრძ#2-28.
09.02.2026

PEGASI

პეგასი

სასკოლო სასწავლო გეგმა

კონცეპტუალური ნაწილი

2026-2027 სასწ.წელი

შინაარსი

შესავალი....3

პეგასის ფილოსოფია....Error! Bookmark not defined.

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი....4

ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები....5

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები....6

განაყოფები....7

ინკლუზიური განათლება....8

აკადემიური მხარდაჭერისა და რემედიაციის პროგრამა....10

შინ სწავლების ორგანიზებისა და მართვის წესი....12

სადამრიგებლო პროგრამა....13

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში....20

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები....21

სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესების აღწერა....22

სტრატეგიული გეგმის განვითარება....22

პერსონალის მართვა და განვითარება....23

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება....23

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა....24

საინფორმაციო რესურსები....24

ფინანსური რესურსები....24

მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები....24

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია....25

შესავალი

2026-2027 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. დაწყებითი საფეხური მოიცავს I-VI კლასებს, საბაზო საფეხური - VII-IX კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური- X-XII კლასებს.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა მოსწავლეებისთვის შექმნას თავისუფალი და შემოქმედებითი გარემო, სადაც

ისინი შეძლებენ:

- ცოდნის გაღრმავებას;
- ტოლერანტობისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას;
- ჩამოყალიბდნენ კეთილსინდისიერ, აქტიურ მოქალაქეებად, რომლებსაც ექნებათ:

  - ✓ კომუნიკაციის,
  - ✓ ინფორმაციის დამუშავების;
  - ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და ასევე დამოუკიდებლად სწავლის უნარი.

სკოლის ხედვა

სკოლის ხედვაა შევუქმნათ მოსწავლეებს ისეთი საგანმანათლებლო გარემო, სადაც მიიღებენ ხარისხიან განათლებას, შეძლებენ მუდმივად განვითარდნენ და დამოუკიდებლად შეიძინონ ახალი ცოდნა. ვიზრუნოთ მათზე, რომ ჩამოყალიბდნენ ტოლერანტ, კრიტიკულ და თავისუფალ აზროვნებაზე ორიენტირებულ მოქალაქეებად. სკოლაში სწავლა გავხადოთ საინტერესო, მრავალფეროვანი და სახალისო.

სკოლის ღირებულებები

- უსაფრთხოება;
- გუნდურობა;
- მოუკერძოებლობა;
- ერთგულება;
- ინოვაციური მიდგომები;
- წარსული გამოცდილების გაზიარება.

სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და თავსებადია ეროვნული სასწავლო გეგმის მისიასთან.

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი

სკოლა უზრუნველყოფს:

ა) სიღრმისეულ სწავლას;
ბ) პოზიტიურ სასწავლო გარემოს;
გ) ინკლუზიურ განათლებას.

1.სიღრმისეული სწავლა-სწავლება გულისხმობს:

ა) მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას;
ბ) ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას;
გ) ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას;
დ) სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა);
ე) მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შემენას.

2. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს შემდეგი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას:

კრიტიკული აზროვნება	● მოსწავლეს ეძლევა ფაქტების ანალიზის, იდეების გენერირებისა და ორგანიზების, მოსაზრებების დაცვის, შედარების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა;
შემოქმედებითი აზროვნება	● მოსწავლეს ეძლევა საშუალება შეაფასოს პრობლემა და გამოწვევა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ჩამოაყალიბოს ალტერნატიული პასუხები და ხედვები, დაგეგმოს და შეიმუშაოს პრობლემის გადაჭრის საკუთარი მოდელი;
თანამშრომლობა	● მოსწავლეს ეძლევა საშუალება წარმატებით იმუშაოს სხვებთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად. გაიაზროს საერთო პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან ერთად. გააცნობიეროს გუნდური მუშაობის პრინციპები და ურთიერთობის ფორმები;
კომუნიკაცია	● მოსწავლეს ეძლევა საშუალება დაამყაროს მიზნობრივი ურთიერთობა სხვებთან და გამოხატოს საკუთარი თავი, როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად კულტურისა და სიტუაციის შესაბამისად; იყოს აქტიური, კეთილგანწყობილი, ემპათიური მსმენელი, განახორციელოს უკუკავშირი და რეფლექსია; გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა კომუნიკაციის პროცესში;
ხასიათი/ნებელობა	● მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესწავლის, იდენტობის გააზრების, სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობა. მხარდაჭერილია მოსწავლის პიროვნული ზრდის მოთხოვნილებები და წახალისებულია მისი თვითაქტუალიზაციის პროცესი; სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და

	სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;
მოქალაქეობა	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება სხვათა ღირებულებებისა და ფასეულობების გათვალისწინებით იმსჯელოს და იფიქროს იმ გლობალური/კომპლექსური საკითხების გაანალიზებასა და მოგვარებაზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანისა და გარემოს მდგრადობაზე. გააცნობიეროს უნივერსალური ეთიკის პრინციპები და ინდივიდის როლი და თანაშემოქმედებითობა საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

3. ინკლუზიური განათლება გულისხმობს:

ა) ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას;
ბ) მრავალფეროვნების დაფასებას;
გ) რესურსების თანაბრად განაწილების პოლიტიკას;
დ) დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას;
ე) ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს; სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენებას;
ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას;
ზ) მოსწავლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი საგანმანათლებლო გამოცდილების მართვაში; განივითაროს საკუთარი პოტენციალი და გახდეს მის გარშემო მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე;
თ) თითოეული მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენასა და თვითრეალიზებას ინდივიდუალური მიდგომების გზით;
ი) სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ის თავს იგრძნობს სასკოლო თემის ნაწილად და საკუთარი წვლილს შეიტანს მის განვითარებაში.

4. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

სკოლის დირექცია და პედაგოგიური გუნდი ცდილობს სწავლა-სწავლების დროს მაქსიმალურად გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით.
სკოლაში სწავლა მიმდინარეობს გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.
სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს.

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა

სკოლაში არ ხდება მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით.
განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს.
სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი სწავლების პროცესში ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს თითოეული მოსწავლის მოტივაცია. სკოლის მასწავლებლების პრიორიტეტი მოსწავლეთა წინსვლის ხელშეწყობაა და არა მათი შედეგების განსჯა-შეფასება. პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეებს გააგებინონ, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაარწმუნონ მის საჭიროებაში. დაანახონ კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

დისციპლინა

სკოლა ცდილობს განუვითაროს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. სკოლის მასწავლებელთა მაგალითი გადამწყვეტია სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად; ადმინისტრაციული ზომები, რომლებსაც სკოლა იყენებს მოსწავლეებისადმი დისციპლინური ღონისძიებების გატარებისას ისეა დადგენილი, რომ მოსწავლეთა ღირსება არ შეილახოს და ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს; „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანებას (შემდგომში – მოსწავლის ქცევის კოდექსი); სკოლის შინაგანაწესს და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს.

მოსწავლეთა ჩართულობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრიდან განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს ჩვენი სკოლის მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში თანამონაწილეობასაც. გაკვეთილებზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, ღონისძიებების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

5. საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლაში მოქმედებს შემდეგი საგნობრივი კათედრები, რომლებშიც გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი:

- **სახელმწიფო ენის კათედრა;**

- ❖ მათემატიკის კათედრა;
- ❖ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
- ❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა;
- ❖ უცხოური ენის კათედრა;
- ❖ ესთეტიკური და სპორტული აღზრდის კათედრა.

- სკოლის საგნობრივი კათედრების შექმნის მიზანია კოორდინირება გაუწიოს საგნის ან საგნების სწავლებას, იზრუნოს კეთედრის წევრი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, ხელი შეუწყოს სკოლისათვის სასარგებლო აქტივობების დაგეგმვას და განხორცელებას. პროფესიული გამოცდილების გაზიარება, კვლევა, ერთობლივი დაგეგმვა სასწავლო პროცესის და პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილება და.ა.შ.), უზრუნველყოს კათედრის წევრების და სხვა საგნობრივ კათედრების სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმირება; ახალი გამოწვევების და სიახლეების სასწავლო პროცესში დანერგვის მექანიზმების შემუშავება. განახორციელოს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და იდენტიფიცირებული პრობლემების ანალიზი. ემსახუროს სკოლის ფილოსოფიისა და კათედრის დებულების განხორციელებას.

- კათედრის ყველა წევრს აქვს ავტონომია, რაც ნიშნავს მნიშვნელოვანი, არსებით გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობას. კათედრა მოქმედებს გუნდური პასუხისმგებლობით. კათედრები თავის საქმიანობას წარმართვენ კათედრის დებულების მიხედვით, წარმოდგენილი დანართის სახით.

6. განაყოფები

სკოლა ,,პეგასი“ 2026-2027 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ან/და ცოდნის დონის გათვალისწინებით ქმნის განაყოფებს:

საგანი	კლასი
პირველ უცხოურ (ინგლისური) ენაში	1-12 კლასები
მათემატიკა	I, II,III,XI,XII
ქართული ენა და ლიტერატურა	I, II,III.

7. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

სკოლაში სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები.

სასწავლო კვირა ხუთდღიანია.

გაკვეთილები 45 წუთიანია, გაკვეთილებს შორის შესვენება არის 5 წუთიანი, ხოლო მე-3 და მე-4 გაკვეთილებს შორის 10 წუთიანი, მე-5 და მე-6 გაკვეთილებს შორის 10 წუთიანი.

მოსწავლე სკოლაში იმყოფება მე-4 დან მე-6 კლასის ჩათვლით 9:30-17:00-მდე, ხოლო მეორე კლასი 09:30-18:00 სთმდე. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სრულფასოვან კვებას და დასვენების შესაძლებლობას.

9.6. სკოლის საათობრივი ბადე იხ. დანართიის სახით მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებს: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები.
9.6. სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია კლასგარეშე აქტივობები, რომელსაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს წრეებისა და კლუბების სახით. სკოლაში ფუნქციონირებს ჭადრაკის, ხატვის, ქართული ხალხური ცეკვის წრეები. ლიტერატურული კლუბი (I,II,III,IV კლასები), ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი. თითოეული წრისა და კლუბის შემთხვევაში შემუშავებულია სამოქმედო გეგმები/პროგრამები წარმოდგენილი დანართის სახით.

9.7. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია დამრიგებლის დებულებით, მოცემულობიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთზე მეტ კლასს ჰყავდეს ერთი დამრიგებელი.

8. მოსწავლეთა რაოდენობა

2026-2027 სასწავლო წელს კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 23 მოსწავლით.

9. ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

10. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (შემდგომში - სსსმ) არის მოსწავლე, რომელიც არის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აგრეთვე მოსწავლე, რომელიც სასწავლო პროცესში დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს, აქვს სწავლასთან ან/და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი, გახანგრძლივებული სირთულეები ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მინიმალურ დონეზე ვერ აკმაყოფილებს;
2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) ენა-მეტყველების განვითარების დარღვევა და კომუნიკაციის სირთულეები;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
თ) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება ინკლუზიური განათლების ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის მიერ გაცემული ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნის საფუძველზე. ასევე, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო

გეგმით სწავლების, შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების, დამატებითი სპეციალისტის მომსახურების, სასწავლო პროცესისა და გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროება.
4. ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლისათვის გეგმავს და ახორციელებს ქართული ენის შესწავლის ხელშემწყობ აქტივობებს.

11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
7. ისგ ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის სწავლის დაწყებიდან ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

12. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

- სკოლის კიბეებზე გაკეთებულია მოძრავი პანდუსი რომლის საშუალებითაც მათი ყოლის შემთხვევაში იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელს, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
- სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
- სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადებს შეუდგინოს და ასწავლოს მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის **რეკომენდაციების საფუძველზე.**

13. აკადემიური მხარდაჭერისა და რემედიაციის პროგრამა

1. ზოგადი დებულებები და პროგრამის მიზანი

1.1. წინამდებარე პროგრამა განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური შეფერხებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის, პრევენციისა და აკადემიური მხარდაჭერის/რემედიაციის პროცესის ორგანიზებას.

1.2. რემედიაციის პროგრამის მიზანია:

- იმ მოსწავლეთა მხარდაჭერა, რომელთაც აღენიშნებათ სწავლის სირთულეები, აქვთ აკადემიური ჩამორჩენა, 5.0-ზე დაბალი სემესტრული/წლიური ქულა ან/და იმყოფებიან სკოლის მიტოვების (სწავლის შეწყვეტის) მაღალი რისკის ქვეშ;
- დაწევისა და დაჩქარებული სწავლების მექანიზმებით საბაზისო ცნებებისა და ფუნქციური უნარების აღდგენა-განვითარება;
- მოსწავლისთვის აკადემიური თვითრწმენის დაბრუნება და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

2. მოსწავლის იდენტიფიცირება და აკადემიური საჭიროების დიაგნოსტირება

2.1. მოსწავლის რემედიაციის პროგრამაში ჩართვის საფუძველი შეიძლება გახდეს:

- **აკადემიური ინდიკატორები:** მიმდინარე საშინაო, საკლასო ან შემაჯამებელ დავალებებში დაბალი შეფასება (1-4 ქულა — დაბალი დონე) ან სემესტრული/წლიური 5.0-ზე დაბალი ქულა (საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ვალდებულია შესთავაზოს რემედიაცია);
- **დიაგნოსტიკური შეფასება:** საგნის მასწავლებლის მიერ ჩატარებული შუალედური ან დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგები; სკოლაში გარდა საგაკვეთილო პროცესში დიაგნოსტიკური წერებისა, ყოველი სემეტსრის ბილოს ტარდება დიაგნოსტიკური წერები შემდეგ საგნებში: ქართული, მათემატიკა, ინგლისური.
- **დასწრების დინამიკა:** მოსწავლის მიერ გაცდენილი საათების კრიტიკული რაოდენობა, რაც საფრთხეს უქმნის სტანდარტის დაძლევას;
- **ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა:** თუ მოსწავლე იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში, ჰოსპიტალიზაციით გამოწვეული სწავლის სირთულის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს რემედიაციის პროგრამის შეთავაზებას სკოლაში დაბრუნების შემდგომ.
- **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა:** კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის, სკოლის ფსიქოლოგის ან/და ინკლუზიური განათლების სხვა სპეციალისტის მიმართვა.

2.2. იდენტიფიცირებისთანავე, საგნის მასწავლებელი ატარებს ხარვეზების სიღრმისეულ ანალიზს და ადგენს, კონკრეტულად რომელ სამიზნე ცნებებში, საკითხებსა თუ უნარებში აქვს მოსწავლეს აკადემიური აცდენა.

3. რემედიაციის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება

3.1. თითოეული იდენტიფიცირებული მოსწავლისთვის საგნის მასწავლებელი (საჭიროების შემთხვევაში, კათედრასთან/ფსიქოლოგთან თანამშრომლობით) ადგენს **რემედიაციის ინდივიდუალურ გეგმას**.

3.2. გეგმაში აუცილებლად მიეთითება:

- მოსწავლის მიმდინარე აკადემიური დონე და კონკრეტული ხარვეზები;
- მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები;
- გამოსაყენებული მეთოდები და დიფერენცირებული მასალები;
- დამატებითი მეცადინეობების განრიგი და ხანგრძლივობა;
- შეფასებისა და მონიტორინგის საკითხები.

4. რემედიაციის განხორციელების ფორმები და სტრატეგიები

4.1. **გაკვეთილზე ინტეგრირებული დიფერენცირებული სწავლა:** მასწავლებელი იყენებს სწავლის უნივერსალური დიზაინის (UDL) პრინციპებს, მოსწავლეს აძლევს მის მზაობაზე მორგებულ დავალებებსა და დამატებით მხარდაჭერას.

4.2. **საკონსულტაციო/დამატებითი მეცადინეობები:** სკოლის საათობრივი ბადის მიღმა ინიშნება ინდივიდუალური ან მცირეჯგუფური მეცადინეობები მსგავსი აკადემიური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან.

4.3. **თანატოლთა მხარდაჭერით სწავლა:** მოსწავლის მოტივაციის გასაზრდელად გამოიყენება წყვილებში მუშაობა მაღალი აკადემიური მიღწევის მქონე თანატოლებთან.

4.4. **შემოქმედებითი და კონტექსტური დავალებები:** ცოდნის გაღრმავების მიზნით გამოიყენება გამარტივებული კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები.

4.5. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში, მიმღები სკოლა მას ასაკის შესაბამის კლასში ირიცხავს და იღებს ვალდებულებას, შესაბამისი პროგრამის მეშვეობით უზრუნველყოს საგნის/საგნების დაძლევის პროცესი. სკოლა „პეგას“ შეუძლია დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმი შესთავაზოს იმ მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს, რომლებსაც გამშვებ სკოლაში არ გაუვლიათ „პეგას“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული საგანი/საგნები.

5. პროგრესის მონიტორინგი, შეფასება და მშობელთა ჩართულობა

5.1. მოსწავლის პროგრესი ფასდება **მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით** (კონსტრუქციული უკუკავშირი, თვითშეფასების რუბრიკა, პროგრესის დღიური).

5.2. მასწავლებელი თვეში ერთხელ აწვდის ანგარიშს კლასის დამრიგებელსა და სკოლის დირექციას.

5.3. **მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის როლი:** სკოლა უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას რემედიაციის პროგრამაში მოსწავლის ჩართვისთანავე. მშობელს ეძლევა რეკომენდაციები სახლის პირობებში მოსწავლის მხარდაჭერის შესახებ.

14. შინ სწავლების ორგანიზებისა და მართვის წესი

1. **ზოგადი დებულებები**

1.1. შინ სწავლა წარმოადგენს სკოლის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო მომსახურებას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი მკურნალობის ან ჰოსპიტალიზაციის გამო ვერ ახერხებენ სკოლაში რეგულარულ დასწრებას 1 თვე ან მეტი ვადით.

1.2. შინ სწავლა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებას -მიიღოს უწყვეტი განათლება და შეინარჩუნოს კავშირი სასკოლო საზოგადოებასთან.

2. შინ სწავლებაზე გადაყვანის პროცედურა და დოკუმენტაცია:

2.1. შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანის საფუძველია:

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;

ოფიციალური სამედიცინო დოკუმენტაცია, სადაც მითითებულია სკოლაში სიარულის შეუძლებლობა და სავარაუდო ვადა.

2.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის შემთხვევაში, შინ სწავლებაზე გადაყვანა დამატებით მოითხოვს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნას.

2.3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიცემა სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის შინ სწავლების რეჟიმზე გადაყვანის შესახებ.

3. სასწავლო პროცესის ორგანიზება და საათობრივი დატვირთვა

3.1. სკოლის დირექცია საგნის მასწავლებლებთან ერთად ადგენს შინ სწავლების ინდივიდუალურ განრიგს.

3.2. სასწავლო ფორმატები:

- **დისტანციური/ჰიბრიდული სწავლება:** ელექტრონული პლატფორმების (Google Meeting, Zoom და ა.შ.) გამოყენებით გაკვეთილებზე პირდაპირი ჩართვა ან ინდივიდუალური ონლაინ-სესიები;
- **ვიზიტები:** მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის ვიზიტი მოსწავლის საცხოვრებელ ადგილას (სკოლის მატერიალურ-ადამიანური რესურსისა და ეპიდემიოლოგიური/ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით);
- **ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა:** თუ მოსწავლე იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში, სკოლა უზრუნველყოფს სწავლებას დისტანციურად ან/და ჰოსპიტალთან კოორდინაციით მოქნილი გეგმით.

3.3. **საათობრივი დატვირთვა:**

- მოსწავლისთვის საათობრივი დატვირთვა განისაზღვრება ინდივიდუალურად, მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით;

- სსსმ მოსწავლის შინ სწავლებისას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით გათვალისწინებული თითოეული საგნის **კვირაში მინიმუმ 1 აკადემიური საათის** ოდენობით ჩატარებას.
- მოსწავლის შინსწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინსწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებას.
- მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

4. შეფასება, აკადემიური აღრიცხვა და ტრანზიცია

4.1. **დავალებები და შეფასება:**

- საგნის მასწავლებლები მოსწავლეს წერილობით ან ელექტრონულად აწვდიან სასწავლო მასალებს, საკლასო/საშინაო დავალებებსა და შემაჯამებელ პროექტებს;
- მოსწავლე ფასდება მიმდინარე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით;
- შემაჯამებელი დავალებების ჩაბარება ხდება მოქნილი გრაფიკით (დისტანციურად, შინ ვიზიტისას ან სკოლაში დაბრუნების შემდეგ აღდგენის პროცედურით).

4.2. **ჟურნალში აღრიცხვა:** ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლის დასწრება/გაცდენა აღინიშნება შინ სწავლების სპეციალური სტატუსით ან გაცდენები ითვლება საპატიოდ წარმოდგენილი სამედიცინო ცნობის საფუძველზე.

4.3. **სკოლაში დაბრუნება (ტრანზიცია):** ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, მშობლის განცხადებისა და სამედიცინო ცნობის საფუძველზე, დირექტორის ბრძანებით წყდება შინ სწავლების რეჟიმი და მოსწავლე უბრუნდება ჩვეულებრივ საგაკვეთილო პროცესს.

15. სადამრიგებლო პროგრამა

ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს სკოლის დირექტორი. მოცემულობიდან გამომდინარე შესაძლებელია ერთზე მეტ კლასს ჰყავდეს ერთი დამრიგებელი.

1. სადამრიგებლო პროგრამის მისია, მიზნები და პრინციპები

სადამრიგებლო პროგრამის მისიაა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების (შემეცნებითი, ფიზიკური, ფსიქო-სოციალური) მხარდაჭერა, უსაფრთხო, ტოლერანტული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მოსწავლის პიროვნული პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება.

ძირითადი ამოცანები:

- მოსწავლეებში პოზიტიური აკადემიური თვითკონცეფციისა და სწავლის მოტივაციის ამაღლება.
- კლასში ჯანსაღი, ტოლერანტული და ბულინგისგან თავისუფალი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

- მოსწავლეთა აკადემიური პროგრესისა და დასწრების სისტემატური მონიტორინგი
- აკადემიური შეფერხების მქონე მოსწავლეთა ადრეული იდენტიფიცირება და **რემედიაციის პროგრამაში** ჩართვა.
- მშობლებთან, საგნის მასწავლებლებთან, სკოლის ფსიქოლოგსა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობა
- მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერა

დამრიგებლის საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპები:

- **აღზრდის მთლიანობა:** ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი, სოციალურად ადაპტირებული და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება.
- **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა:** მოქმედება მენტორისა და მრჩევლის როლში მოსწავლის უნიკალური ნიჭისა და ძლიერი მხარეების დასანახად.
- **პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება:** მოსწავლეთა ჩართვა საკლასო ცხოვრების, ექსკურსიებისა და პროექტების დაგეგმვაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად.
- **თანამშრომლობის პრინციპი:** ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაცია, ემოციური კეთილდღეობის უზრუნველყოფა.
- **ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების დაცვა:** სამართლიანობის, თანასწორობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის წახალისება.
- **არაფორმალური განათლება:** უნარებისა და ღირებულებების განვითარება ბუნებრივ გარემოში (ლაშქრობები, პროექტები, შეხვედრები).
- **პოზიტიური მიკროკლიმატი და გუნდურობა:** კლასის ერთიანი გუნდის შეკვრა და კონფლიქტების დროული, ადეკვატური განმუხტვა.
- **ინკლუზიური სასწავლო გარემო:** სსსმ მოსწავლის ისგ-ის შექმნაში ჩართულობა, მშობელთან და სპეცმასწავლებელთან მუდმივი კომუნიკაცია და მეგობრული გარემოს შექმნა.

2. დამრიგებლის მუშაობის ძირითადი მიმართულებები

მიმართულება	*განხორციელების მექანიზმები და შინაარსი*
1. საგანმანათლებლო და აკადემიური მხარდაჭერა	• მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დასწრების ყოველკვირეული მონიტორინგი. • აკადემიური შეფერხების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირება და რემედიაციის პროგრამაში ჩართვის უზრუნველყოფა. • საგნის მასწავლებლებთან რეგულარული კომუნიკაცია მოსწავლის პროგრესისა და გამოწვევების დასადგენად. • დასწრების ყოველდღიური მონიტორინგი: მოსწავლის დაგვიანების/გაცდენისას **მშობელთან მყისიერი კომუნიკაცია** და მიზეზის დადგენა. • სადამრიგებლო კლასის ელ. ჟურნალის **ყოველდღიური შემოწმება.**

მიმართულება	*განხორციელების მექანიზმები და შინაარსი*
2. გარემოზე ზრუნვა და უსაფრთხოება	• საკლასო ოთახში განთავსებული **ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე**, სისუფთავესა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა. • შიდასასკოლო დოკუმენტაციის (შინაგანაწესი, უსაფრთხოების წესების რესურსებით სარგებლობის წესი) გაზიარება მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. • პრობლემების წამოჭრისას ადმინისტრაციის დროული ინფორმირება.
3. პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება	• ემოციური ინტელექტის, თვითმართვისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარება. • კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების, ემპათიისა და ბულინგის პრევენციის აქტივობები. • ახლად ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცესის მხარდაჭერა. • ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა თემებზე.
4. სამოქალაქო და ღირებულებითი აღზრდა	• ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება (ჰიგიენა, ციფრული ჰიგიენა, მავნე ჩვევების პრევენცია). • გარემოსდაცვითი ცნობიერება, ტოლერანტობა, კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა. • სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სასკოლო თვითმმართველობაში ჩართულობის წახალისება.
5. მშობლებთან თანამშრომლობა	• მშობელთა ინდივიდუალური და საერთო შეხვედრების ორგანიზება/წარმართვა. • მოსწავლის აკადემიური ან ქცევითი თავისებურებების შესახებ მშობლის დროული ინფორმირება. • მშობლების ინფორმირება სკოლის შინაგანაწესზე, მოსწავლის უფლებებსა და უსაფრთხოების წესებზე.

3. სადამრიგებლო საათის სავარაუდო თემატიკა მოსწავლეთა ასაკისა და კლასის საჭიროებების გათვალისწინებით

I სემესტრი

თვე	*თემატიკა*	*მიზანი და მოსალოდნელი შედეგი*
სექტემბერი	**1. „ჩვენი კლასის წესები, ღირებულებები და ურთიერთპატივისცემა“** *საკითხები:* კლასის ქცევის კოდექსის ერთობლივი შემუშავება, ერთმანეთის მოსმენისა და აზრის პატივისცემის პრინციპები, ახალი მოსწავლეების გაცნობა და ინტეგრაცია კლასში **2. „სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის უფლება-მოვალეობები და უსაფრთხოება“** *საკითხები:* სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესები, უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა **3. “თანაკლასელის ცნების გააზრება და გუნდურობა“** საკითხები: კლასის ქცევის კოდექსის შემუშავება, პოზიტიური მიკროკლიმატის ჩამოყალიბება.	ჯანსაღი, უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა; მოსწავლეთა ადაპტაცია და შინაგანაწესის გააზრებული დაცვა.
ოქტომბერი	**1. „ბულინგი და მისი პრევენცია — როგორ გავხდეთ დამხმარე და არა მაყურებელი“** *საკითხები:* ბულინგის ფორმების (ფიზიკური, ვერბალური, კიბერბულინგი) განხილვა, ჩაგვრის უარყოფითი შედეგები, მაყურებლის როლი და მხარდაჭერის მექანიზმები **2. „დროის მართვა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები“** *საკითხები:* დღის რეჟიმისა და პრიორიტეტების გადანაწილება, მეცადინეობის სწორი ტექნიკა, საშინაო დავალებებისა და დასვენების ბალანსი.	ემპათიისა და ტოლერანტობის განვითარება, ბულინგის პრევენცია, მოსწავლის თვითორგანიზებისა და აკადემიური უნარების გაუმჯობესება

თვე	*თემატიკა*	*მიზანი და მოსალოდნელი შედეგი*
ნოემბერი	**1. „ჯანსაღი ცხოვრების წესი, კვება და ციფრული ბალანსი“** *საკითხები:* ფიზიკური აქტივობისა და სწორი კვების მნიშვნელობა, ეკრანდამოკიდებულებისა და სოციალური ქსელების მავნე ზეგავლენის პრევენცია. **2. „ტოლერანტობა, კულტურული მრავალფეროვნება და განსხვავებულობის პატივისცემა“** *საკითხები:* სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების გაცნობა, სტერეოტიპების დაძლევა, ურთიერთპატივისცემის დამკვიდრება	ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევების ჩამოყალიბება, ციფრული ჰიგიენის დაცვა, ინკლუზიური და ტოლერანტული ცნობიერების ამაღლება
დეკემბერი	**1. „I სემესტრის აკადემიური და პიროვნული შედეგების შეჯამება და რეფლექსია“** *საკითხები:* საკუთარი მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზი, თვითშეფასება, სემესტრული შედეგების შეფასება. **2. საახალწლო პროექტი/ღონისძიება** *საკითხები:* კლასგარეშე/საქველმოქმედო აქტივობის დაგეგმვა მშობელთა ჩართულობით	მეტაკოგნიტური რეფლექსიის უნარის განვითარება, გუნდური თანამშრომლობა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

II სემესტრი

თვე	*თემატიკა და განვრცობილი შინაარსი*	*მიზანი და მოსალოდნელი შედეგი*
იანვარი	**1. “საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება და მიზნების დასახვა”** *საკითხები:* რეალისტური, გაზომვადი მიზნების ჩამოყალიბება II სემესტრისთვის,	მოტივაციის ამაღლება, პიროვნული ავტონომიისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბება.

თვე	*თემატიკა და განვრცობილი შინაარსი*	*მიზანი და მოსალოდნელი შედეგი*
	საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. **2. „კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და კონსტრუქციული კომუნიკაცია“** *საკითხები:* კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, „მე-შეტყობინებების“ გამოყენება, მოლაპარაკება და კომპრომისის ხელოვნება.	
თებერვალი	**1. „გარემოს დაცვა და ჩემი წვლილი მდგრად განვითარებაში“** *საკითხები:* ნარჩენების სორტირება, რესურსების (წყალი, ენერგია) დამზოგველი მოხმარება, გარემოსდაცვითი სასკოლო პროექტები. **2. „პროფესიების სამყარო და ჩემი ინტერესები“ (საბაზო/საშუალო საფეხური)** *საკითხები:* საკუთარი ძლიერი მხარეებისა და ინტერესების ამოცნობა, თანამედროვე პროფესიების მიმოხილვა, პროფორიენტაციის საწყისები.	ეკოლოგიური ცნობიერების გაღრმავება, მომავალი პროფესიული არჩევანისთვის მზაობის ხელშეწყობა
მარტი	**1. „ემოციური მართვა და სტრესთან გამკლავება გამოცდების/ტესტების დროს“** *საკითხები:* შფოთვისა და სტრესის სიმპტომების ამოცნობა, რელაქსაციის ტექნიკები, პოზიტიური აზროვნება გამოწვევების დროს. **2. „ადამიანის უფლებები, მოქალაქეობა და**	ფსიქოლოგიური მდგრადობის ჩამოყალიბება, სამართლებრივი და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება.

თვე	*თემატიკა და განვრცობილი შინაარსი*	*მიზანი და მოსალოდნელი შედეგი*
	დემოკრატიული ღირებულებები“ *საკითხები:* ბავშვის უფლებათა კონვენცია, ინდივიდის როლი საზოგადოებაში, კანონის პატივისცემა და მოქალაქეობრივი ვალი.	
აპრილი	**1. „კრიტიკული აზროვნება და მედიაწიგნიერება — როგორ ამოვიცნოთ ყალბი ინფორმაცია“** *საკითხები:* ინფორმაციის წყაროების გადამოწმება, დეზინფორმაციისა და ფეიკ-ნიუსების ამოცნობა, ინტერნეტში უსაფრთხოება. **2. “უსაფრთხო ქცევის წესები ყოველდღიურობასა და საგანგებო სიტუაციებში“** *საკითხები:* საგანგებო სიტუაციები, საგზაო უსაფრთხოება, პირველადი დახმარების ელემენტები, უსაფრთხოება ინტერნეტსივრცეში	საინფორმაციო ჰიგიენისა და კრიტიკული აზროვნების განვითარება, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უნარები.
მაისი / ივნისი	**1.„სასწავლო ექსკურსია/ლაშქრობა — არაფორმალური განათლება“** *საკითხები:* ბუნებაში ქცევის წესები, გუნდური თამაშები, ურთიერთობების განმტკიცება სკოლის გარეთ. **2. „წლიური მიღწევების შეჯამება, წარმატებების აღნიშვნა და რეფლექსია“** *საკითხები:* წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესის გაანალიზება, კლასის წარმატებების აღნიშვნა, პიროვნული ზრდის	სასწავლო წლის პოზიტიური შეჯამება, თვითშეფასების უნარის განმტკიცება და უსაფრთხო არდადეგების უზრუნველყოფა.

თვე	*თემატიკა და განვრცობილი შინაარსი*	*მიზანი და მოსალოდნელი შედეგი*
	შეფასება. **3. „ზაფხულის არდადეგების უსაფრთხოება და რეკომენდაციები“** *საკითხები:* წყალზე, ბუნებასა და მზეზე უსაფრთხოების წესები, ზაფხულის განმავლობაში საკითხავი ლიტერატურა და პიროვნული განვითარება.	

შენიშვნა: აღნიშნული თემატიკა შესაძლოა შეიცვალოს კლასის საჭიროებიდან გამომდინარე.

4. შეფასება, მონიტორინგი და ანგარიშგება

- **მონიტორინგი:** დამრიგებელი ყოველდღიურად ამოწმებს ელექტრონულ ჟურნალს,(Schoolbook) მოსწავლეთა დასწრებასა და აკადემიურ დინამიკას.
- **ანგარიშგება:** სემესტრისა და წლის ბოლოს დამრიგებელი სკოლის დირექციას წარუდგენს გაწეული საღმზრდელო და აკადემიური მუშაობის ანგარიშს.

15. მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლა იცავს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით აღიარებულ მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებას. მათ შორის:

1. სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის.
2. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით.
3. სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.
4. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.
5. სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
6. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.
7. სკოლაში სასკოლო დისციპლინა დაცულია სკოლის შინაგანაწესით.

8. სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით.
9. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვაში მოსწავლეთა თვითმმართველობის სახით.
10. სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით.
11. მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

16. ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
2. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
3. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
4. საქმისმწარმოებელი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
5. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას უზრუნველყოფს სკოლა. ჩარიცხვა ხორციელდება ექსტერნატის გარეშე, აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
8. დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
9. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
10. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.
11.ტრანზიციის პროცესი შესაძლოა მოიცავდეს ბავშვის შესვლას და/ან გადასვლას შემდეგ სისტემებს შორის:

ა)სკოლამდელი დაწესებულებიდან სკოლაში. პირველკლასელთ ადაპტაცია;

ბ) ოჯახიდან სკოლაში. პირველკლასელთ ადაპტაცია;

გ)ერთი სკოლიდან მეორეში. მობილობით გადმოსული მოსწავლეთა ადაპტაცია;

დ) სსს მოსწავლის ადაპტაცია.

16. სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესების აღწერა

სტრატეგიული გეგმის განვითარება

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან.

სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები:
ა) სკოლის დირექტორი და დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
ბ) სასკოლო საზოგადოება (სკოლის თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი).

SWOT ანალიზი

1. სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.
2. SWOT ანალიზით განისაზღვრება ოთხი ძირითადი მიმართულება:
2.1. ძლიერი მხარეები;
2.2. სუსტი მხარეები;
2.3. შესაძლებლობები;
2.4. საფრთხეები;
3. SWOT ანალიზის დროს სისუსტეების გამოვლენა ემსახურება იმ მიზანს, რომ ისინი არსებული შესაძლებლობის ფარგლებში დაძლეულ იქნეს და ტრანსფორმირდეს სკოლის ძლიერ მხარეებად. საფრთხეების წინასწარი შეფასება კი საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს.
4. SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

სტრატეგიულ გეგმასა და SWOT ანალიზზე დაყრდნობით სკოლას შემუშავებული აქვს 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც აზუსტებს მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებსა და შესაბამის რესურსებს.

სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგი

1. სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესში სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას.
2. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები.
3. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების საკითხები რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიით.

17. პერსონალის მართვა და განვითარება

პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს იმ ამოცანებსა და ღირებულებებს, რომელსაც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვა, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებსა და აღნიშნულ პროცესში ჩართულ პირებს, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებს, ადამიანური რესურსების მართვასა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. ასევე, პროფესიული განვითარების, მოტივაციის ზრდის მექანიზმებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

სასკოლო დროს, სკოლის ტერიტორიაზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა.
უსაფრთხოების პოლიტიკით სკოლა განსაზღვრავს პოლიტიკის მიზნებს, **უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმებს,** სკოლის ქონების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესებსა და მექანიზმებს.
სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით.
სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები და შემოღებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების კონტროლისათვის დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები და შემოსასვლელი ე.წ. „ეკრანი“.

სკოლაში მუდმივად ხდება შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება. სკოლის შენობაში, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს დაშავებულთათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

18. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. ასევე განსაზღვრული აქვს სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები.

სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები. შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სივრცეები, როგორიცაა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას აქვს ეზო, სადაც განთავსებულია ღია, მცირე ზომის სპორტული მოედანი. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისათვის და უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო.

საინფორმაციო რესურსები

სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 2000 - მდე წიგნადი ფონდი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები. გარდა ამისა, სკოლისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული გაიდლაინები, მეთოდური სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები.

სკოლაში უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ღონისძიებების, საგაკვეთილო პროცესში და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისათვის, ინფორმაციის მოძიებისთვის. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა. ასევე, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.(Schoolbook) სკოლას აქვს აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), ვებ-გვერდი, რომლითაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას.

ფინანსური რესურსები

სკოლას აქვს დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავალი და ხარჯი. სკოლის შემოსავალი შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და დამატებითი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან.

სკოლის მომდევნო წლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის დასრულებისას 10 დეკემრამდე მიმდინარე წლის განმავლობაში ხორციელდება ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების დაზუსტება.

19. მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა.

სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

სკოლა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად გეგმავს დამატებით მომსახურებებს და არაფორმალურ აქტივობებს.

დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას და სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით, სკოლა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს: ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში, აცნობს პროფესიებს, უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს და ა.შ.

სკოლა უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველას მოსწავლისათვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო სერვისების შეთავაზებას. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები.

20. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

მუხლი 1. შესავალი

1.1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სკოლის ძირითადი პროცესის — სასკოლო კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადასინჯვა-რევიზიის წესს. სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და ეფექტიანი სასკოლო სასწავლო გეგმის/სასკოლო კურიკულუმის დანერგვისთვის ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით, მათ შორის ესგ-ით განსაზღვრული საგნობრივი ჯგუფის მიზნებითა და საგნების სტანდარტებით. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმების შემუშავებისას დაწესებულება ითვალისწინებს სკოლის შესაძლებლობებს, სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და გარე შეფასების მექანიზმების მოთხოვნებს.

1.2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული შემდეგ პროცესებთან: სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული, ერთწლიანი გეგმის შემუშავება და განვითარება, პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება, სასკოლო საზოგადოების

ინფორმირება, ფინანსური რესურსების მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება - რაც შესაბამისად არის ასახული და გათვალისწინებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების კონკრეტულ ეტაპებზე.

1.3. სასკოლო კურიკულუმის განვითარება წარმოადგენს ციკლურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც ეფუძნება უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს (PDCA – დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გაუმჯობესება) და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების — მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის — აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილებით



- **დაგეგმვა (Plan)** – საჭიროებების ანალიზი, მიზნების განსაზღვრა, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და კურიკულუმის შემუშავება.
- **განხორციელება (Do)** – სასკოლო კურიკულუმის პრაქტიკაში დანერგვა, განხორციელება.
- **მონიტორინგი და შეფასება (Check)** – მონაცემთა სისტემური შეგროვება, ანალიზი და შედეგების შეფასება.
- **გაუმჯობესება და რევიზია (Act)** – ცვლილებების დაგეგმვა, დანერგვა და ეფექტიანობის შეფასება.

მუხლი 2. კურიკულუმის შემუშავების პროცესი

2.1. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმისა და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებისა და რესურსების განსაზღვრას.

2.2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეყრდნობა წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის შეფასების შედეგებს და მოიცავს შემდეგი მონაცემების ანალიზს:

- მოსწავლეთა აკადემიური შედეგები;
- საგნობრივი კურიკულუმის შეფასება;
- მასწავლებლის თვითშეფასება;
- სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები;
- მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი;
- და სხვა.

2.3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება.

2.4. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მხარეთა ჩართულობა და პასუხისმგებლობები განისაზღვრება შემდეგი სახით:

 მასწავლებლები – მასწავლებლები საათობრივი ბადის პროექტისა და არსებული რესურსების შესაბამისად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. საგნობრივი კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. მასწავლებლები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე:

✓ რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული);

✓ რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;

✓ რა შემოქმედებით დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;

✓ რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში;

✓ რა ტიპის დავალებებს და შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;

 საგნობრივი კათედრა – მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები განიხილება შესაბამის საგნობრივ კათედრებზე. ხდება წარმოდგენილი ინფორმაციის, რესურსების გაანალიზება, შეთანხმება, ვერიფიკაცია. იმ საგნის/საგნების კურიკულუმების შემუშავებაში, სადაც არის ერთზე მეტი მასწავლებელი, ყველა მათგანი ერთსა და იმავე კურიკულუმზე თანხმდება. საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს აღნიშნულ პროცესებს. ასევე, ახორციელებს შემუშავებული კურიკულუმების რევიზიას და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

 სკოლის დირექცია დირექტორთან შეთანხმებით – უზრუნველყოფს კურიკულუმის პროექტის შემუშავებას, მათ შორის საათობრივი ბადის, აკადემიური კალენდრის, დღის რეჟიმის, ცხრილის შედგენას; ახორციელებს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და განაწილებას კურიკულუმის ეფექტიანი იმპლემენტაციისთვის; კოორდინაციას უწევს სხვადასხვა რგოლებს შორის თანამშრომლობას და ზედამხედველობს ვადების დაცვას. უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის შესაბამისობას სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან.

მუხლი 3. კურიკულუმის განხორციელება

3.1. კურიკულუმის განხორციელება გულისხმობს შეთანხმებული და დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის პრაქტიკაში დანერგვას.

3.2. კურიკულუმის განხორციელების პროცესში სკოლა რთავს სასკოლო საზოგადოებას, თუმცა, ძირითადი ფიგურა საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისას — მასწავლებელია. მასწავლებელი უზრუნველყოფს:

- მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას;
- აქტიურ და ჩართულ სასწავლო პროცესს (მათ შორის მშობელთა ჩართულობას);
- დიფერენცირებულ მიდგომებს;
- ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით;
- ცოდნის სხვადასხვა ტიპის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) განვითარებას;
- განმავითარებელი შეფასების ეფექტიან გამოყენებას.

3.3. კურიკულუმის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის დირექცია. ის უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტად და ხარისხიანად წარმართვისათვის ყველა საჭირო რესურსით (ადამიანური, მატერიალური, ტექნიკური, ფინანსური და ა.შ) მხარდაჭერას.

მუხლი 4. მონიტორინგი და შეფასება

4.1. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება უზრუნველყოფს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებასა (რა იყო ნაკლებად ეფექტური, რა ფაქტორებმა შეუშალა ხელი კურიკულუმში განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის) და მისი გადაჭრის/გაუმჯობესების გზების განსაზღვრას.

4.2. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის კონკრეტულ მექანიზმებს და ინსტრუმენტებს განსაზღვრავს სკოლის დირექცია. ის აგროვებს და აანალიზებს საგნობრივი კათედრიდან მიღებულ ანგარიშებს, მათ საფუძველზე შეიმუშავებს მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის სარეკომენდაციო პაკეტს.

4.3. მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით:

- მიმდინარე მონიტორინგი — სასწავლო პროცესის განმავლობაში, საჭიროებისამებრ;
- შუალედური შეფასება — სემესტრის ბოლოს;
- შემაჯამებელი შეფასება — სასწავლო წლის ბოლოს.

4.4. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლამ შესაძლოა გამოიყენოს სხვადასხვა აქტივობა, როგორებიცაა:

- ანგარიშვალდებულების სისტემა;
- სასწავლო პროცესზე დაკვირვება;
- საგაკვეთილო პროცესზე დასწრება;
- დაიგნოსტიკური წერების ორგანიზება;
- მოსწავლეთა შედეგების შეფასება;
- უკუკავშირის შეგროვება;
- საგნობრივი კურიკულუმის შემოწმება შინაარსობრივი თვალსაზრისით და სხვა.

4.5. შეფასება ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მონაცემებს. შეფასების ინსტრუმენტებად გამოიყენება: კითხვარები, ინტერვიუები, უკუკავშირი, შეხვედრები, მონაცემთა ანალიზი და ა.შ.

4.6. კურიკულუმის ეფექტიანობა განისაზღვრება შემდეგი ძირითადი ინდიკატორებით:

- მოსწავლეთა აკადემიური პროგრესი;
- სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხი;
- შეფასების შედეგები;
- დიფერენცირების ხარისხი;
- მშობელთა და მოსწავლეთა კმაყოფილება;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება.

4.7. შეფასების პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. თითოეული დასკვნა გამყარებულია მონაცემებით.

4.8. შეფასების შედეგები ფორმდება ანალიტიკური ანგარიშის სახით და გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად. ანგარიში უნდა მოიცავდეს: მონაცემთა ანალიზს, ძირითად მიგნებებს, რეკომენდაციებსა და სამოქმედო ნაბიჯებს (იხ. დანართი 3).

4.9. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგები განიხილება საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოს სხდომასა და დირექციის შეხვედრებზე.

4.10. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში ხდება:

- კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების ძლიერი მხარეების გამოყოფა - რა გაკეთდა კარგად, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი კურიკულუმის მიზნებზე გასვლას.
- რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის განვითარებისათვის, სადაც წარმოდგენილი იქნება

კონკრეტული, დროში გაწერილი ნაბიჯები და ის ცვლილებები რაც დაწესებულებამ უნდა განახორციელოს კურიკულუმის ეფექტური დანერგვისა და მიზნების მიღწევისათვის.

მუხლი 5. გადასინჯვა და რევიზია

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხორციელდება:

5.1. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით;
5.2. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში.
5.3 მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ხდება კურიკულუმის გაუმჯობესება, რაც მოიცავს: პრობლემების იდენტიფიცირებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ცვლილებების დაგეგმვას, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ვადების გაწერასა და განხორციელების მონიტორინგს. ცვლილებები შეიძლება შეეხოს: შინაარსს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემას, რესურსებსა და სასწავლო გარემოს.

მუხლი 6. პასუხისმგებლობების განაწილება

სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია და მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით. პროცესში ჩართულ მხარეებს შორის პასუხისმგებლობები ნაწილდება შემდეგნაირად:

6.1. მასწავლებელი:

- პასუხისმგებელია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაზე, განხორციელებაზე, შეფასებასა და თვითშეფასებაზე;
- უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სასკოლო კურიკულმთან;
- იღებს მიმდინარე უკუკავშირს და აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეებისა და მშობლებისგან სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მახარეების შესახებ, რომელსაც აწვდის სკოლის დირექციას.
- ახორციელებს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და აანალიზებს სწავლების შედეგებს;
- მონაწილეობს კურიკულუმის გადასინჯვისა და გაუმჯობესების პროცესში უკუკავშირისა და რეკომენდაციების წარდგენის გზით.

6.2. საგნობრივი კათედრა:

- კოორდინაციას უწევს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებას საგნობრივ ჭრილში;
- ახორციელებს საგნობრივი კურიკულუმების შინაარსობრივ ანალიზს, მათ განხილვასა და რეკომენდაციების შემუშავებას;
- უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ინტეგრაციას;
- ხელს უწყობს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარებასა და პროფესიულ თანამშრომლობას;
- საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს კურიკულუმის პროექტის გაუმჯობესებისთვის.

6.3. სკოლის დირექცია:

- პასუხისმგებელია კურიკულუმის განვითარების პროცესის საერთო მართვასა და კოორდინაციაზე;
- უზრუნველყოფს პროცესს საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებით;

- ზედამხედველობს კურიკულუმით განსაზღვრული ვადებისა და პროცედურების დაცვას;
- აანალიზებს მონიტორინგის შედეგებს და ამზადებს პერიოდულ ანალიტიკურ ანგარიშებს;
- უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის შესაბამისობას სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან;

6.4. პედაგოგიური საბჭო:

- განიხილავს შემუშავებულ სასკოლო კურიკულუმს (კონცეპტუალურ ნაწილსა და საფეხურის კურიკულუმებს).
- შეიმუშავებს რეკომენდაციებს კურიკულუმის გადასინჯვისა და გაუმჯობესებისათვის.
-

6.5. დირექტორი:

- პასუხისმგებელია სკოლის საგანმანათლებლო პოლიტიკის საერთო ხედვასა და კურიკულუმის ეფექტიან იმპლემენტაციაზე.

წინამდებარე მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კურიკულუმის სისტემურ, გამჭვირვალე და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მართვას, რაც წარმოადგენს სკოლის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის საფუძველს.

დასკვნითი დებულება

სასკოლო სასწავლო გეგმის მოქმედების ვადაა ერთი სასწავლო წელი.
სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მონაწილეობით, და სასწავლო პროცესის დაწყებამდე დამტკიცებულია სკოლის დირექტორი მიერ
სასკოლო სასწავლო გეგმას დანართების სახით ერთვის სასკოლო კურიკულუმები საფეხურების მიხედვით:

- ❖ დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი **(დანართი 1)**
- ❖ საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი **(დანართი 2)**
- ❖ საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი **(დანართი 3)**